№ 58 მარტი 17, შაბათი 1890 მარტი 17, შაბათი № 58


გაზეთი ღირს

| თვე | | მან. | კ. | თვე | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 | — | 6 | . . . . . | 6 | — |
| 11 | . . . | 9 | 50 | 5 | . . . . . | 5 | 50 |
| 10 | . . . | 8 | 75 | 4 | . . . . . | 4 | 75 |
| 9 | . . . | 8 | — | 3 | . . . . . | 3 | 50 |
| 8 | . . . | 7 | 25 | 2 | . . . . . | 2 | 75 |
| 7 | . . . | 6 | 50 | 1 | . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 17 მარტს, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში, საღამოს 7½ საათზე, დანიშნულია სამუსიკო და სალიტერატურო საღამო. საღამოს პროგრამა ფრიად ვრცელია და ყველა იმის ნომერს შეასრულებენ თვით შეგირდები სკოლისა. მოგვყავს სრულად პროგრამა საღამოს პირველის განყოფილებისა:

1) „Коль славенъ“, იტყვის ხორო.

2) „ლომი და კოლო“ (ბუნების კარიდამ), წაიკითხავს ლ. ნათაძე, პირველ კლასის უმცროსის განყოფილების შეგირდი.

3) Два мальчика (კრილოვისა), წაიკითხავს I კლასის შეგირდი ა. ციციშვილი.

4) «ჩავუხტეთ და ჩავუხტეთ», იტყვის ხორო.

5) Котъ и поваръ (კრილოვისა), წაიკითხავს I კლასის შეგირდი ა. ავალიშვილი.

6) „პამპულა და ერეკლე“ (დედაენიდამ) წაიკითხავს უმცროსის კლასის შეგირდი ი. აბაზაძე.

7) „Три святыни“ (ყაზახების სიმღერა), იტყვის ხორო.

8) «გუთანი» (ლექსი), წაიკითხავს შეგირდი უმცროსის კლასისა ლ. ნეტოლიცკი.

9) „ია მთაზედა“, იტყვის ხორო.

10) „Молодая мышь“, წაიკ. I კლასის შეგირდი ი. ბერიშვილი.

11) „ვირი და ბულბული“ (კრილოვისა), წაიკ. I კლასის შეგირდი მ. ფალავანდიშვილი.

12) „ოქროს დილლო“, იტყვის ხორო.

13) „Выѣздъ ямщика“, წაიკ. I კლასის შეგირდი ვ. ხირსელი.

14) „ჰე, გაფრინდი მერცხალო“, იტყვის ხორო.

15) „Калина“, იტყვის ხორო და

16) „მუმლი მუხასა“, იტყვის ხორო. მეორე განყოფილებაც ისევე ვრცელია, როგორც პირველი, და სულ 15 ნომერს შეიცავს წასაკითხისა და სიმღერით სათქმელისას რუსულად და ქართულად. თქმა არ უნდა, რომ ტფილისში მყოფი ქართველობა და მეტადრე იმ ყმაწვილების მშობლები და ნათესავები, რომელნიც ზემოხსენებულს სკოლაში სწავლობენ, დაესწრებიან ამ საღამოს და თავის თვალით იხილავენ, რაოდენად წარმატებულნი არიან მათის საკუთარის სკოლის შეგირდები ქართულსა და რუსულს კითხვა-სიმღერაში.

*** პოლიციის დავთრებიდგანა სჩანს, რომ ამ თვის 14 შუაბაზრის ახლოს მომკვდარა ერთი მოხუცი ქართველი კაცი ას ორის წლისა. ამ მოხუცის გვარია კრივიშვილი, გიორგი აბრამის ძე. უკანასკნელ დროს კრივიშვილს თვალთ დაჰკლებია, მაგრამ მაინც მხნე და ჰარმაგი კაცი ყოფილა და თავის სიცოცხლეში თითქმის ფრჩხილიც არ წამოსტკივებია.

*** ამბობენ, რომ მკურნალს ნ. ხუდადოვს, რომელიც დათხოვნილ იქმნა სამკურნალო საზოგადოების წევრობისაგან, საჩივარი შეუტანია ამ საქმის გამო საზოგადოებაზე სასამართლოში და ეს საქმე მალე სასამართლოს გამომძიებელს გადაეცემაო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენი მხატვარი, ბ-ნი გ. გაბაშვილი, რომელმაც რამდენიმე კარგი სურათი დახატა ამ მოკლე ხანში და ყურადღება მიიქცია, როგორც მხატვრობის მცოდნეთა, ისე მოყვარულთა, ჰხატავს ამ ჟამად ფრიად დიდს სურათს: „საზამთროს მოხავალი, ანუ სთველი“. ვისაც უნახავს ეს სურათი, ყველას დიდად მოსწონს და ქებით იხსენიებს.

*** ტფილისის დედათა საეპარქიო სკოლაში წითელა გავრცელდა და ამიტომ იმ სკოლის მთავრობას სწავლა შეუწყვეტია და შეგირდები უკვე დაუთხოვნია. სასურველია, რომ ვისაც დედმამა სოფლადა ჰყავს, მოეპატრონონ თავიანთ შვილებს და აღდგომის დღესასწაულებში სოფლად წაიყვანონ.

*** ტფილისის სასულიერო სასწავლებელშიაც რამდენიმე შეგირდი გამხდარა ავად წითელით. აქაც აპირობენ რაც შეიძლება მალე დაითხოვონ შეგირდები სააღდგომოდ, რათა ეს გადამდები ავადმყოფობა უფრო მეტად არ გავრცელდეს შეგირდებ შორის.

*** ქვედა-აჭარა: მარტმა კარგი დღეები დაიჭირა, ხეხილმა ყვავილი გამოიღო და მინდორ-ველი საამურად ამწვანდა. თოვლი აღარსადა სჩანს და ხალხი მინდორში გავიდა სამუშაოდ. დროული კაცები ამბობენ, წელს ისეთი ამინდია, რომ კარგს მოსავალს უნდა მოველოდდეთო. კაცის კვლა და ყოველ გვარი ავაზაკობა-კი გახშირებულია ჩვენსკენ. ამ გარემოებამ მეტად შეაწუხა ფუხარა (ღარიბი) ხალხი. შარშან წლის დამლევს სოფელ უჩხიარში მოჰკლეს მისილ-ოღლებმა ალი-ბეგი ბასელიძე. ეს საქმე გაირჩა აჭარის მეჯლიშში (სასამართლოში) მარტის 13. სასამართლომ დამნაშავედ იცნა მისილ-ოღლები და დაპატიმრება გადუწყვიტა წელიწადსა და ორს თვეს ბათუმის ციხეში.

*** გუშინ, ამ თვის 16, დილის ათ საათზე, აკურთხეს ტფილისში საქალაქო დედათა სამკურნალო ოცდა-ათ სნეულისათვის დაწესებული. კურთხევას დაესწრნენ: ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე, ქალაქის თავი ა. ს. მატინოვი, ტფილისის პოლიციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სოკოლოვსკი, მრავალი ექიმი და ხმოსანი ტფილისის საბჭოსი. პარაკლისი გადაიხადა პეტრე-პავლეს მღვდელმა ბლაღოჩინმა მამა გძელიშვილმა, რომელმაც პარაკლისს შემდეგ აიაზმის წყალით ასხურა სადგური სამკურნალოსი. შემდეგ დამსწრეთ დაათვალიერეს ყველა ოთახი სამკურნალოსი. სამს დიდს დარბაზში სდგას ოც-დაათი საწოლი სუფთა ლოგინით დაგებული. სამკურნალოშია ბუფეტი, პირ-საბანი, ექიმის კაბინეტი და აფთიაქი, ფერშლის ოთახი, საბანაო ოთახი და სხვ. ყველა ამ ოთახის კარები სულ ერთს დერეფანში გამოდის. ამ უმთავრესის შენობის გარდა ეზოში ორი სხვა შენობა კიდევ არის და ამ შენობებში იმყოფება სამზარეულო, მსახურთა ოთახები და სხვ. სამკურნალოს ზედამხედველად დაუნიშნავთ ექიმი ისტამანოვი. ამას გარდა სამკურნალოში კიდევ ცხრა სხვა მოხელე და მსახური არის განწესებული.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელ მეთაურში, პირველ გვერდზე, მესამე სვეტში, ნათქვამია: „მოსალოდნელ ხარჯის რაოდენობა უდრის 62,916 მანეთს“; უნდა იყოს: „გაუსტუმრებელის ხარჯის რაოდენობა უდრის 62,916 მან.“ იმავე სვეტში ნათქვამია: „თავისუფალი თანხა ახალ-ქალაქისა უდრის 485“; უნდა იყოს 4850 მან.“

---

## მართებლობის განკარგულებანი

უფროსი მოხელე ტფილისის გუბერნატორისა განსაკუთრებულ საქმეთათვის თ. ა. ლ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი დაინიშნა განჯის გუბერნატორის კანცელარიის მმართველად.

არხივარიუსი ტფილისის საგუბერნიო მმართველობისა მ ი ხ ე ი ლ ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი დაინიშნა მეცხრე საპოლიციო ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ.

განსაკუთრებულ საქმეთა მოხელეს, რომელსაც ვალად აძევს თვალ-ყური ადევნოს დასახლებულ მამულებსა და შემოსავალს ტფილისის სახელმწიფო ქონებათა გამგეობისას, კოლეჟსკი რეგისტრატორს თ. მ ი ხ ე ი ლ მ ა ჩ ა ბ ე ლ ს ებოძა გუბერნსკი სეკრეტრობა.

ებოძა წმინდა ანნას ჯვარი მესამე ხარისხისა ტფილისის მეორე საპოლიციო ნაწილის ბოქაულს თავ. ს ი დ ა მ ო ნ-ე რ ი ს თ ა ვ ს.

---

## ფელეტონი

### სამეცნიერო ამბები

ნატვრა.—ოცნება და მეცნიერების ყოვლად-შემძლებლობა.—იაფი ძალა.—რას გვაძლევს თვით ბუნება?—როგორ მოვიხმაროთ ბუნების ძალა?—რა არის აკკუმულატორი?—საათის ზემბი, ძალის შემკრები და შემნახველი.—რაზეა დამყარებული აკკუმულატორის მომზადება?—ელექტრონის აკკუმულატორი.—ამის მომზადება.

წარმოიდგინეთ, რომ სოფლად სცხოვრობთ, და ეს თქვენი სოფელი უწყლო ალაგია. ვთქვათ, დაგჭირდათ პურის დაფქვა. მეტი რა ღონეა, უდებთ ურემზე საფქვავს და მიგაქვთ, ერთის დღის სავალს, სადაც წყალია და წისქვილები.

— რა კარგი იქნებოდა, რომ ის წყალი ამ ჩვენს სოფელს ჩაუდიოდეს და ის წისქვილებიც აქ მედგასო,—რამდენჯერ გაივლებდით გულში.

აგერ კიდევ, ეგრე ოცის ვერსის სიშორეზე თქვენის სოფლიდამ, მთებში, მაღლა კლდიდგან გადმოჩხრიალებს ჩახჩახით წყალი:—ეჰ, აქ მომცა ეს წყალი, სოფელში, რამდენს თვალს წისქვილს დავატრიალებდიო,—ვიცი, ინატრებდით არა ერთხელ და ორჯელ, ჩვენებურად, ქართველურად.

ადამიანის ნატვრას საზღვარი არ უძევს, და ჩვენი, ქართველების, ნატვრა ხომ ხშირად ისეთს ფრთებს შეისხამს ხოლმე, რომ თვით გაფიცხებული და გატაცებული ოცნებაც-კი ფრთებს უშვებს ძირს და კვალში ველარ მისდევს. მართალია, მეცნიერება, მეტადრე ამ ბოლოს დროს, დიდს ყოვლად-შემძლებლობას იჩენს, ბევრს სასწაულს ჩადის, მაგრამ მოდი და ჩვენ ქართლელს გლეხს აუსრულე ნატვრა და „მტკვარი უქციე დოდ“ და „იალბუზი კოვზად მიე ხელში“, რომ ეს დო შეხვრიპოს. ასეთს სასწაულს თვით ყოვლად შემძლებელი მეცნიერებაც ვერ იზამს! და აი ეს ნატვრა-კი, რომ ის წყალი, აი მაღლა კლდიდამ რომ გადმოჩუხჩუხებს, სოფელში მოგცათ წისქვილის დასატრიალებლად,—ეს ნატვრა, დიახ, ადვილი ასასრულებელია. და განა მარტო წისქვილის დასატრიალებლად გამოგადგებათ ეს წყალი, სხვა რა საქმეშიაც გინდათ, მოიხმარეთ! თუ გინდათ, სანათურადაც გამოიყენებთ და ცეცხლის მაგიერობასაც გაგიწევთ.

— წყალი და ცეცხლი ცოტა როგორღაც შორი-შორს არისო, რომ ერთმა მეორის მაგიერობა გასწიოს, ეს როგორღაც ჰკუაში მოსასვლელი ვერ არისო,—გაიფიქრებთ გულში და ცოტა ჩაიცინებთ კიდეც.

მოითმინეთ,—არც მე გეუბნებით, რომ აიღეთ და წყალს პირდაპირ ცეცხლი წაუკიდეთ-მეთქი. ცეცხლსაც რომ თავი დავანებოთ, განა გირჩევდით თითონ წყალს, თუნდა წისქვილის დასატრიალებლადაც? ეს რა დიდი ამბავი იქნებოდა! აქ თვით წყალზე-კი არ არის ლაპარაკი,—საქმე ის ძალაა, რომელსაც წყალი ჰბადავს, როდესაც, მაგალითად, მაღლიდამ გადმოდის, ან მიმდინარეობს და რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს თუნდ წისქვილის ბორბალი.

გეცოდინებათ,—ერთხელ ჩვენცა გვქონდა ამაზე ლაპარაკი,—რომ დღეს მეცნიერებას ადვილად შეუძლიან, ერთი ძალა მეორედ აქციოს, თუნდ აი, მაგალითად, წყლის ძალა ელექტრონად გადააქციოს, და ელექტრონს, ხომ მოგეხსენებათ, დღეს წისქვილის ბორბლის დასატრიალებლადაც ხმარობენ, სანათურადაც, ცეცხლის მაგიერადაც და ბევრ სხვა საქმეშიაც.

**

მაშ ეხლა ხომ ჰხედავთ, როგორ შეიძლება გამოვიყენოთ აი ის მაღლა კლდიდამ გადმონადენი წყალი? კლდის ძირშივე შეიძლება ისე მოვაწყოთ, რომ წყლის ძალა ელექტრონად გარდაიქცეს, და ეს ელექტრონი მავთულებით სოფელში გამოვიყვანოთ, და სოფელში კიდევ, როგორც დაგვჭირდეს, ისე მოვიხმაროთ.

— ძალიან კარგიო,—მეტყვით: მაგრამ ამ გვარად მოპოებული თუნდ წყლის ძალა ხომ ისე ძვირად დაჯდება, რომ კაცს ფიქრადაც არ მოუვა ამის საქმეში გამოყენება.

მართალია. ამ გვარის ძალის მოპოება და საქმეში გამოყენება შეეძლოთ მხოლოდ დიდს მწარმოებლებს, დიდის ფულისა და საქმის პატრონებს, მდიდარ მექარხნე და ფაბრიკანტებს. ღარიბ კაცისთვის-კი დღემდე სრულიად ხელ-მიუწვდენელი იყო ეს ძალა. მაგრამ მხოლოდ დღემდე. დღეს-კი საქმე სულ სხვაგვარად იცვალა. მეცნიერებამ იქამდე მიაღწია, რომ ეს ძალა მდიდრისთვისაც და ღარიბისთვისაც თანასწორ ხელ-მისაწვდენი იქნება. მართალია, დღესაც არ არის ეს ძალა ისე იაფი, როგორც სასურველია, მაგრამ ხვალ ხომ იქმნება,—ეს მხოლოდ დროის საქმეა. ახალი და სასიქადულო ამ საქმეში ის არის, რომ დღეის იქით საჭირო აღარ იქნება ძვირფას მაშინების მოწყობა და მავთულების გაყვანა ამ ძალის შესაძენად. მოვა დრო,—და შორსაც აღარ არის ეს დრო,—როდესაც ეს ძალა ისევე წონით იქნება გასასყიდი, როგორც დღეს ისყიდება, მაგალითად, პური, შაქარი, სანთელი და სხვ.

გინდათ წისქვილის გამართვა? მისდიხართ ქალაქში, ჰყიდულობთ ფუ-

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„Русскій Вѣстникъ“-ში საყურადღებო ცნობებია ამოკრებილი სპარსეთის ისტორიკოს რიზა-ყულიხანის თხზულებიდგან რუსეთის მწერალ გრიბოედოვის სიკვდილის შესახებ, იმ გრიბოედოვისა, რომელიც სპარსეთის ელჩად იყო დანიშნული და აჯანყებულმა სპარსელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. უკვე ცნობილია, რომ გრიბოედოვს თავისმა გაუფრთხილებლობამ მოუღო ბოლო, და აი, ეხლა ამასვე ასაბუთებს სპარსული ისტორიული წყარო. რუსეთი და სპარსეთი ზავით მორიგდნენ და ამ ზავის ხელ-შეკრულობით სპარსეთს უკანვე უნდა დაებრუნებინა საქართველოდგან გაყვანილი ტყვე მამათა და დედათა სქესისა. გრიბოედოვს განსაკუთრებული სია ჰქონდა და ამ დატყვევებულთ დაეძებდა.

იმისდა მიუხედავად, რომ ქართველ ქალთა უმეტესობა უკვე ისლამის სარწმუნოებას აღიარებდა, გათხოვილი იყო და შვილებიც-კი ჰყავდაო, ამბობს სპარსელთა ისტორიკოსი: ბევრი მათგანი ძალის-ძალათი მიჰყავდათ და მათ შორის ორი მაჰმადიანი-ქართველი ქალი წაიყვანეს ასეფ-უდ-დოლეს სახლიდგან, სპარსეთის პირველის წარჩინებულის კაცის ოჯახიდგან. ეს ორი ქალი გრიბოედოვს თავისს სახლში ჰყავდა, თუმცა-კი იმათ მოლაპარაკება ჰქონდათ ხოლმე თეირანის ულემებთან და მაჰმადიანობის უარ-ყოფას სულ არ იყვნენ მოწადინებულნი. საქმე იქამდე გამწვავდა, რომ გრიბოედოვის თანამხლებელნი წარჩინებულთ კაცთ სახლებში უცვივდებოდნენ და ქართველს ქალებს დაეძებდნენ.

ქალაქი აღელდა და ხალხმა სასულიერო წოდებას მიჰმართა დასაფარავად. მის უდიდებულესობის შაჰისა არაფერი იმედი ჰქონდათ, რადგან მთავრობა ამ საქმეში როგორღაც არას ჰმოქმედებდა. ყადებმა, შეიჰებმა, სეიდებმა და მუჯტეიდებმა, გაფანატიკოსებულთ, ერთმანეთში მოილაპარაკეს და თავისის იფრინდას პირით შეუთვალეს გენერალს გრიბოედოვს: „ჩვენ და არა გვაქვს სახელმწიფოთა შორის მშვიდობისა და ბრძოლის ხელ-შეკრულობასთან. ხოლო სარწმუნოებისა და შარიატის საქმეში-კი ჩვენს აზრს ვერ დავფარავთ. თუ მაგ რადაც შეკრულობის ძალით რუსეთის ელჩებმა ძალით დაგვიწყეს მაჰმადიანებს კანონიერ ცოლების რთმევა და წაგვართვეს ქართველი ტყვეები, მას შემდეგ, რაც-კი ქერიმ-ხანის დროიდგან ტყვე გვყავს წამოყვანილი საქართველოდგან, მაშინ ყველა. ჩვენი შვილები და ნათესავები უნდა გამოგვესალმნენ და რუსების ხელში გადავიდნენო“.

გრიბოედოვი იფრინდას უკადრისად მოექცა და შეურაცხება მიაყენა. სპარსელნი აიშალნენ.

ულემებს მხოლოდ მუქარით უნდოდათ იძულებულ ეყოთ გრიბოედოვი და ზემოხსენებული ორი ქალი დაებრუნებინებინათ, მაგრამ როცა მდაბიო ხალხი, ქალაქისა და სოფლის მკვიდრნი, წამოიშალნენ, ულემებმა ხალხს თავი ვეღარ შეამაგრებინეს და ვეღარ დაიკავეს. ამ დროს მთავრობაც-კი ჩაერია საქმეში, მაგრამ ვეღარა გააწყო-რა.

როცა საელჩოდგან პირველი გაუფრთხილებელი სროლა გაისმა, საქმეც უკუღმა დატრიალდა და ფანატიკოს მკვიდრის ხელიდგან ვეღარა ააცილებდათ-ღა-რა ელჩსა და იმის მხლებელთ უბედურებასაო.

**

გადავხედოთ ჩვენს მეგობარსაც კორტოხს იქით, ერთი ქართული გაზეთი იქაც ჰსულდგმულობს და ორ კვირაში ერთხელ გამოეცხადება ხოლმე თავისს მკითხველებს. ეს გაზეთი ჩვენის სასულიერო საზრდოს მომცემი „მწყემსია“, ის „მწყემსი“, რომელიც სულს ყვირილაში იდგამს და ხორცს-კი ქუთაისში ისხამს და რომელიც ვალდებულია მწყსიდეს, იცავდეს და იფარავდეს ქართულს ენასაც, არა ერთ გზის ტანჯულს ჩვენთა ახალ დროის მწერალთა მიერ. ყოველის ქართულის გაზეთისა თუ ჟურნალის უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ, რაკი ქართულია, ქართულად სწეროს. განსაკუთრებით ეს უფრო „მწყემსს“ მოეთხოვება, რაღა თქმა უნდა, რადგან ჩვენთა მამათ ძველი სასულიერო წიგნები კარგად უწყიან და, ამას გარდა, ეხლაც ხალხში ტრიალებენ, ხალხში, სადაც ძნელად თუ დუხჭირად იცვალოს ენამ იერი და ფერი. მაგრამ აბა გადაჰხედეთ ამ გაზეთის თუნდა უკანასკნელს მე-5 ნომერს. შიგ მოთავსებულს სხვადასხვა წერილს ნუ აუხირდებით და თვით რედაქციის პასუხი წაიკითხეთ, ის ადგილი, სადაც თვით კრებული გაზეთის გამგეთა საერთო პასუხს ადგენს. ეს პასუხი ასე იწყება:

ბლაგ. დ. ბარნაბოვს. დაბეჭდილი წიგნები გასაში დაუტოვე თქვენზე გადმოსაცემად.

რა არის ეს „თქვენზე გადმოსაცემად“? ქართველი ან „თქვენდა გადმოსაცემადაო“ იტყოდა და ან „თქვენთვის გადმოსაცემად“.

ასე თავდება.

ბლაღოჩინს მ. დ—ვს. ჩვენგან შედგენილი კალენდრები სულ გავიდა, ამისათვის ვეღარ გიგზავნით.

ვინ გავიდა, როგორ გავიდა და სად გავიდა? კალენდარს ფეხი აუდგამს და სადღაც გასულა? არ გვესმის. ითქმის-კი განა ქართულად: სტოლი გავიდა, რვეული გავიდა, წიგნები გავიდა?!.

---

## აღწერა წერა-კითხვის საზოგადოების ხელ-ნაწერთა *).

სიცრუვით საქმის ქმნა სირეგვენით იქნებისო და სიტყვის მოუსმენელობა ბრიყვობით, უგუნურებით იქმნებისო. ჰკუიანთა კაცთა მოყვრობაჲ ბედნიერებაჲ არისო.

დარამოზ ხელმწიფემან თქვა: გლეხსა სუფრას ნუ გაუძღებო, ამით რომ ბატონი ხარო და ბევრი შეგეყრებიან და გლეხი საბრალო იქმნების, მათსა პირუტყვსა მგელიცა შესჭამენო. სამსახური ქორისაგან ისწავლეო, რომ გაუშვებ, კიდევ მოვაჲ, (sic) თუ წავაჲ, (sic) მას ჭამა არა დააკლდების, მაგრა მისი ბატონის ხელზე ჯდომა ურჩევნია.

სამსა საქმესა სამითგან უნდა სწავლა: ცურვაჲ იხვსაგან, ნადირობა ვეფხისაგან, მიჯნურობაჲ ქალისაგან.

მოყვრის გული ხვაშიადისა შენახვით გაისინჯების და მოიგების.

მტერი სიმდაბლით და მოთმინებით მოივებების.

ვისცა სამოთხე და ჯოჯოხეთი არ გონია, ის კაცი არ ცხონდების.

ენას ორნი ზღუდენი ავლიან: კბილნი და ბაგენი, ამად რო სანამდი არ გასინჯო გულსა შინა შენსა, მანამდის ნუ იტყვ.

სოლომონ კელმწიფემან თქვაჲ (sic): ბატონი უნდა იყოს უტყუარი, მართლის მთქმელი, მტყუანთა მოძულე, მართალთა მოყვარე; ვინც ბევრს საქონელს წაუდგების, საუკუნეჲ მისთვის ცუდია. მამად (მაშად) თქვა: გლახაკთა მაშინ მიეც, ცოტა გქონდეს; თუ ბევრი გაქვს, რა საკვირველია. სხვაჲ (სხჲ) სიყმაწვილეს შეინანე, თვარამ სიბერეს ყოველი ინანოს. სულსა საქაოს გაურიგე, რომ საუკუნოჲს მიეხმაროს. სხვა თქვა: მდაბალი იყავ გუნებითა და კარგი მოწყალე.

ლუყან აქიმმან თქვა: რა ჯალაბთ შინა იჯდე, ენა შეინახე, რომ საწუთოჲ არ გაგიქარდეს; რა კაცისასა შეხვიდე, თვალნი შეინახე, რომ გულ მცხარე არ შეიქმნა; რა ლოცვად (ლცჲდ) დგე, გული მაგრა შეინახე, რომ ლოცვა (ლცჲ) არ წაგიხდეს; ცოდვაჲ ცოტა ქენ, რომ მისსა სასჯელსა გაუძლო; ღმერთსა ამდენსა შეეხვეწე, რომ კარგი საქმე მოგიკდეს.

აფიტონ აქიმმან თქვა: შვილი შენი სწვართე ჯოხით სხვაითა კელითა; ჰკუაში მოთმინებასა არა სჯობს რა ვერა საბატიობა და თმობასა და არცა საქონელი კარგ კაცობასა. ვინ ადრე აღდგებოდეს, მრავლის ფათარაკისაგან იკსნას უფალმან (ონ).

ჯიმიშიდ კელმწიფემან თქვა: კელმწიფეთაგან სიხარბე ავი არისო, ამად რომ ბევრი შეუვა, თუ არ გასცემს, ცუდად დარჩების და ეშმაკი გაიხმარს. ბერთა კაცთა მსახურებდე, (მეცნთა) მეცნიერთა პატივ სცემდეთ, მდაბალნი და გლახაკნი ნუ გძულს, დედაწულთათვის კარგი თქვ და ღმერთსა იამების, დაწოლის და აღდგომის ჟამსა ნიადაგ ღმერთსა ევედრებოდე. მოშურნე ნუ იქნები; როგორცა შენ გინდა, ის სხვას უნდა. სჯობს რიდობით ჭამა და მცირედი სმა ღვინისა. ორსა საქმესა რიდობა უნდა: ერთსა ომსა, მეორესა მისსა ბატონის უდასტუროდ ქნასა, მესამედ უღთოთა კაცთა მოყვრობასა, მეოთხესა ღვთის უკსენებლად ქადილსა.

აყიპლატ თქვა: ოთხი საქმე ავი არის: უცნობლობა, მოშურნეობა, ხარბობა და უსწორობა. ერთი კაცი იყო მდიდარი კაცისა შვილი და, რასაცა სთხოვდიან, მისცემდის. მამამან ეგრე უთხრა, თუ დედაცა გთხოვონ, მისცემო, უჰკუოსა და შმაგსა დაგარქმენო. შვილმან ეგრე უთხრა: სიხარბისა ზრახვასა ისიცა მირჩევნიაო. გარდასრულსა საქმესა ნუღარ წაუდგები. ენასა ავის თქმაზე ნუ გასწვრთი.

დავით თქვა: ნათესავთა და მოყვარეთა მოყვრობაჲ ღმერთის სიყვარული არს. უსამართლოდ შეწამება და გაუკითხაობა ღვთის მტრობა არს; საქმესა ჰკუით იქმოდე; ყოველთა საქმეთა მცნობელი კაცი არა წარხდების. კაცისასა შეხვიდე, ჯდომად ნუ ეშურები, ცოტა თქვი და ბევრი გაიგონე; რაჲცა თქვა, მართლად იტყოდი. შენსა თავსა ნუ იქებ, შენის ქონების ანგარიშს ნუ ვის უთხრობ; ცოტა გაქვს, და გჩაგრავს, და თუ ბევრი გაქვს, შეშურდების. ვალი ნუ გინდა ორსა წაილებს. მართალთა და ალალთა გლეხთა კარგი უყავ და მათთვის ძალი (ძლი) ნუ გინდა, ამად რომე ღმერთსა უყვარან და ქვეყანაჲ მათგან რჩებიან და მათითა მუშაობითა შენდების ყოველი ქვეყანაჲ და ღმერთისაგან მადლი აქვს მართლ-მადიდებელთა გლეხთა. თუ გლეხი ავი ზნის იყოს მეძავი, მემრუშე ანუ მეკობრე, ქვეყანასა ზედა ნუ გინდა, გააუპატიურე ანუ დაკარგე, თვარემ მათისა მიხედილობითა სხვანიცა ისწავლიან და ქვეყანაჲ აოკრდების. ამპარტავინი კაცი ასე სძულს ღმერთსა, როგორცა სამოელ და სატანა ამპარტავნობისათვის გარდამოყარა ღმერთმან. ესე მცნებაჲ შეინახე. ამის მასამართლის მქნილსა ღმერთი არასოდეს არ დააკლებს სიკეთესა და ჰკუასა უმატებს. ქვეყანისანიცა კაცნი აქებენ.

წარწერა ამ ხელ-ნაწერის არშიებზე, უშნო გაკრული ნუსხა ხუცური ხელით ნაჩხაპნები, ბევრია, მაგრამ მათში საყურადღებო არაფერია.

ე. თ—ლი

*) იხ. „ივერია“ № 57.

---

თობით თუნდ აი იმ წყლის ძალას, რომელსაც თქვენ უწყლო სოფელში ისე ძლიერ ნატრობდით, მოგაქვთ შინ, — დაგიტრიალდათ კარებზედვე წის-ქვილი.

იქნება სანათურად გინდათ ძალა- ან სხვა წვრილმან შინაურ საქმეში,— მაშინ გირევანქობით ჰყიდულობთ, იდებთ ჯიბეში და მოსდიხართ შინ არხეინად.

ვიცი, ურწმუნო მკითხველი გაიცინებს და ამ ბოლოს სიტყვებს ხუმრობად მიიღებს. ტყუილად-კი, და აი დასარწმუნებლად, რომ ყველა ზემოდ ნათქვამი სრული ჭეშმარიტებაა, ეხლავე ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ.

**

ბუნება მუქთად გვაძლევს, მაგალითად, წყალს, მაგრამ უსამართლოდ კი ანაწილებს: მე აქ, ჩემს სოფელში, უწყლოდ ვიტანჯები, და იქ, მივარდნილ ადგილებში, სადაც ადამიანი ვერც-კი მიუდგება, კლდიდამ გადმოჩხრიალებს ვეებერთელა წყალი,— და ეს ამოდენა ძალა ტყუილ-უბრალოდ იკარგება!

ქარიც კარგად დამიტრიალებდა წისქვილის ბორბალს, მაგრამ რას იზამ, რომ ამასაც ერთი ახირებული ზნე სჭირს. დღეს საქმე გაქვს,— და ქარის წაწანებაც არ ისმის, ხვალ საქმე არა მაქვს საქარო, და ეს-კი მოხსნის პირს და მოსვენებას აღარ მაძლევს!

ორთქლს და ელექტრონს ხომ რაღა სჯობია! მაგრამ ჯერ ერთი, რომ ერთსაცა და მეორესაც დიდი და ძვირი მოწყობილება უნდა, და მეორე კიდევ, ორთქლიცა და ელექტრონიც დიდ საქმეებში თუა გამოსადეგი, თორემ წვრილმან შინაურ საქმეებში ხომ ვერ გამოიყენებ.

აი რომ შეიძლებოდეს და ასე მოხერხდებოდეს, რომ, მაგალითად, წყალი სადაც მინდა, იქ ამოჩნდეს, ქარმა მაშინ დაჰბეროს, როცა დამჭირდეს, ორთქლიც და ელექტრონიც ყველა წვრილმან საქმეში გამოსაყენი იყოს,— ოჰ მაშინ სულ სხვა საქმე იქმნება!

მეცნიერება დიდი ხანია ამის ფიქრსა და ცდაში იყო. იფიქრა, ეცადა და დღეს კიდეც გაიმარჯვა. მეცნიერებამ შესძლო და მოახერხა ძალის შეგროვება, შენახვა, ისე, როგორც, ჩვენ, მაგალითად, ვინახავთ ხოლმე ზაფხულის ხილს საზამთროდ. ეს შენახული, თითქოს წნილად ჩადებული, ძალა შეგვიძლიანთ გადიტანოთ სადაც გინდათ, იხმაროთ, როდისაც გინდათ და რამდენიც გინდათ.

იმ ნივთს, ჭურჭელს, იარაღს,— რაც გინდათ დაუძახეთ,— სადაც შეგროვილი ძალა ინახება, ცოტა ძნელად გამოსათქმელი სახელი ჰქვიან. მაგრამ მალე მთელ ქვეყანაზე მოიფინება ეს სახელი, და მაშინ არავის გაუჭირდება ეს სიტყვა: აკკუმულატორი.

მაგალითს მოვიყვან, რომ უფრო კარგად შევიტყოთ, რა არის აკკუმულატორი.

აკკუმულატორი, როგორც ვთქვით, ძალის შემკრები და შემნახველია. ძალის შეკრება და შენახვა ახალი ამბავი არ არის. აი თუნდ ავიღოთ საათი, უბისა თუ კედლის,— სულ ერთია. საათიც ამავე შეკრებილ და შენახულ ძალით მუშაობს. ასე რომ საათიც უბრალო, მარტივ აკკუმულატორს წარმოადგენს.

**

ყველას გეცოდინებათ, რომ საათი უნდა მოიმართოს, თუ გინდათ, რომ იმუშაოს; მოუმართეველი საათი დგება. რა არის ამის მიზეზი? აი რა. საათს, გენახვებათ, შიგნით, შენობაში წვრილი, თმის სისხო, ფოლადის ძაფი აქვს, რომელსაც ბეწვს ეძახიან. აი ეს ბეწვი, როდესაც საათსა ემართავთ, მაგრა დაიგრიხება ხოლმე და მერე ეს დაგრეხილი ბეწვი ნელნელა ისევ იშლება, განზე იწევს, საათში მოწყობილი პაწია ბორბლები მოძრაობაში მოჰყავს, და ამ სახით საათს ამუშავებს. ცხადია, რომ თვით ფოლადის ბეწვი არ ამუშავებს, არ ატრიალებს საათის ბორბლებს,— ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ მოუმართავ საათსაც უნდა ემუშავა. მაშ თავი და თავი მომართვა ყოფილა, და მომართვას კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ის ცოცხალი, მოძრავი ძალა, რომელიც ადამიანის ძარღვებშია, მომართვის დროს საათის ბეწვში გადადის, და აი სწორედ ეს ძარღვის ძალა ამუშავებს საათსა. გათავდება ეს ძალა, ბეწვს მეტად ვეღარ გაჰშლის, და საათი დადგება.

გეცოდინებათ აგრეთვე, რომ საათის მომართვას სულ რამდენიმე წუთი უნდა, და ერთხელ მომართული საათი-კი მუშაობს მთელს დღეს, კვირას და ზოგი თვესაც. ხომ ჰხედავთ, ერთს წუთს გამოღებული ძალა, რამდენს ხანს მოქმედობს. რაცა? იმიტომ რომ ეს ძალა ბეწვს გადაეცით. ისე ეს ძალა სრულიად უსარგებლოდ დაიკარგებოდა, და ამ პაწია ბეწვის წყალობით-კი აი რამდენს ხანს გამოვიზოგეთ, შევინახეთ, რამდენი საქმე გავაკეთებინეთ. აი რა არის ძალის შეკრება და შენახვა, აი რა არის აკკუმულატორი!..

ამ გვარი აკკუმულატორები, როგორც საათის ბეწვია, ამ გვარად ძალის შეკრება და შენახვა,— ზემოდაც ვთქვით,— ახალი ამბავი არ არის. და თუ ამ აკკუმულატორებმა დიდი მნიშვნელობა არ იქონიეს ადამიანის ცხოვრებაში, ამის მიზეზი ის იყო, რომ ასეთ აკკუმულატორებს ბევრი ნაკლულევანება ჰქონდათ. ჯერ ერთი, ძვირი ჯდება იმათი მომზადება, მეორე თვით ის იარაღი, თუ ჭურჭელი, რაშიაც ძალა ინახებოდა, ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი რომანი გუი-დე-მოპასანისა.

საფრანგეთის ერთ უნიჭიერეს რომანების მწერლად ითვლება გუი-დე-მოპასანი, რომლის მოთხრობა არა ერთხელ გვქონია ჩვენს გაზეთში გადმოთარგმნილი. ამ მწერალმა ერთხელ როგორღაც ის აზრი გამოსთქვა ლიტერატურაში, რომ ოთხი დედა-აზრი მაქვს ცხოვრების ასპარეზზედ სამოქმედოდ არჩეული და ამ დედა-აზრებს არ ვუღალატებო: არასოდეს არ მოვისურვო და არ ვიმეცადინო საპატიო ლეგიონის ორდენის მიღება და აგრეთვე აკადემიაში უკვდავთა შორის ჩარიცხვა. ამას გარდა ცოლი არ შევირთო და თანამშრომლობა არ გავწიო „Revue des deux mondes“-ში. „ორდენი ჩემთვის უსარგებლოა, ამასობაში იმის მიღებისათვის კი თავი უნდა დავიმცირო, ასე რომ მანაღწევი ამ მიღწევისათვის ნახმარს სახსარს არ აჯილდოებს და არ აღემატება. აკადემიაში ჩარიცხვა ჩემთვის, როგორც უკვე გამორკვეულ და გზა-გაკვალულ ლიტერატორისათვის, ხომ ის იქნებოდა, რომ ჩემის რწმენისათვის მეღალატნა მათდა საამებლად, რომელთა უმრავლესობას, ვითარცა ლიტერატორებს, პატივს ვერა ვცემ. უეჭველია ცოლს არასოდეს არ შევირთავ, რადგან ძნელად წარმოიდგენს ადამიანი იმ ურიცხვს სისულელეს, რომელსაც-კი დედაკაცი ჩაადენინებს კაცს. დასასრულ, ალბად „Revue des deux mondes“-ში არ ვითანამშრომლებ, რადგან, ჩემის აზრით, საბეჭდ ქაღალდს არავითარი განსხვავება არა აქვსო“.

ამ უკანასკნელ დრომდე გუი-დე-მოპასანს ამ გზისათვის არ გადაუხვევია, ხოლო ეხლა-კი პარიჟის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამ ახლო ხანში „Revue des deux mondes“-ში დაიბეჭდება ახალი რომანი გუი-დე-მოპასანისა «Notre coeur»-ი. ამ მწერლის რომანის დაბეჭდვა „Revue“-ში, ამ აკადემიის წევრთა კრებულში, დიდი ამბავია და აშკარად ამტკიცებს ახალის სკოლის გამარჯვებას. ამიტომ ფრიად საყურადღებოა ვიცოდეთ, რა გვარია ახალი ნაწარმოები მწერლისა, აკადემიის წევრთა ნაწერებ შორის მოქცეული.

გუი-დე-მოპასანი თავისს ახალს ნაწარმოებში იმ აზრისაა, რომ ყოველ ოც-და-ხუთს წელიწადში ტიპი დედაკაცისა ზნესა და ფერს იცვლის იმდენად, რომ ყოველი ახალი თაობა დედათა არა-ფრიად ჰგავს წარმავალს თაობას, თავისი საკუთარი შეხედულობა აქვს ცხოვრებისა და სიყვარულის შესახებაო. ეხლანდელ ფრანგთა ბებიებმა რომანტიულად იცოდნენ სიყვარული, აღფრთოვანებული ოცნება იზიდავდა მათ ტრაგიკულ სიყვარულისაკენ, გრძნობას ჰნებდებოდნენ. მეორე იმპერიის დროს ქალებს უფრო სიამოვნება-გართობისათვის ჰქონდათ ღია გული; უყვარდათ მხოლოდ იმისათვის, რომ სიყვარულის სიამოვნება გამოეცადნათ; სიყვარული იმათთვის აღვირ-ახსნილ გრძნობის თარეშობა იყო, შედეგი დაუსრულებელ დღესასწაულისა, ბალისა, წარმოდგენისა, ვახშამ-ნადიმისა და უზომოდ გატარებულ ღამისა.

ეხლანდელ დედაკაცის სიყვარული როგორღა გამოიხატება? «Notre coeur»-ის აწერილობით, ჩვენის დროის დედაკაცი მშვენიერი არსებაა, არა-სულელი, დამცინავი სიმახვილე აქვს, დიდი თავ-მოყვარეა, ამდენადვე კეკლუცი, მიმზიდველი, მშვენიერი, ჭკვიანი, ადვილად ცვალებადი, ისეთი არსება, რომელსაც სიამოვნებით შესცქერი და უსმენ. ამავე დროს ამ არსებას ნიჭი არა აქვს, რომ ჭეშმარიტმა გრძნობამ გაიტაცოს, გულ-წრფელი კავშირი არ გაეგება, ის კავშირი, რომლის დროსაც ერთად არის შეხამებული სულიც, გულიცა და გონებაც. ეხლანდელი დედაკაცი დაუღალავად დაეძებს სიყვარულსა და სიამოვნებას, მაგრამ ვერც ერთს ჰპოულობს და ვერც მეორეს. იმისი სიყვარული მხოლოდ სწრაფ-წარმავალი ჟინია, ადვილად ეკარება ხალისი, ადვილად უცრუვდება და ეზიზღება გული და ამიტომაც იმისი ცხოვრება ერთი შეუწყვეტელი სანელია შეცდომათა. ამ არსებას არა ასიამოვნებს-რა, და თუ ასიამოვნებს, მხოლოდ წამიერ, ფრიად სუსტად, ხოლო თუ სიამოვნება-სიტკბოებას გამოეკიდება ხოლმე, მარტო იმიტომ, რომ რაღაც გამოურკვეველს საჭიროებასა ჰგრძნობს ამ სიტკბოებისას. კიდეც ამიტომ არის, რომ დღეში თხუთმეტს ტრფიალსა ცვლილობს, რათა იპოვნოს სადმე არა არსებული იდეალი.

ჩვენის დროის დედაკაცს სიყვარული იმიტომა ჰყავს, რომ გული მარტოდ ყოფნისა გამო ეთანაღრება, მოწყენილია, ხოლო ბედნიერი-კი არ არის იგი, რადგან გულ-წრფელ სიყვარულის ნიჭი დაჩლუნგებული აქვს და ამას გარდა ვერ უპოვნია ჯერ კიდევ უცნობი, ჯერ კიდევ გამოუცდელი სიტკბოება. აი ასე, ჯერ კიდევ დაუტკბობელი, იმედ-გაცრუებული, ჩვენის დროის დედაკაცი ხშირად თავის თავს არწმუნებს, რომ ეს არის, ეხლა-კი ჩავიგდე ხელში ბედნიერებაო, მაგრამ ამასობაში-კი მაინც უკან დასდევს ამ ბედნიერებას და ვერ მისწვდება...

ასეა, თუმცა-კი ამ უღონობა-უძლურებას ბრალად ვერ ჩავუთვლით. იგი გულ-წრფელად მოწადინებულია, რომ ვნებით აღფრთოვანებულს უძგერდეს გული, მოეჭიდოს ისეთი კაცი, რომელსაც იმის დამშვიდება-დაწყნარება, გართობა, დაშოშმინება და მფარველობა შეეძლოს, მაგრამ ამისთანა კაცი ვერსად უპოვნია. ბუნებით იგი ფრიად მოძრავია, ათასი სხვა და სხვა სურვილი აქვს აღძრული, ზოგი ისეთიც-კი, რომელიც განხორციელებამდე შესწყდება ხოლმე. ქვეყანაზედ მხოლოდ ორად-ორი დიდი სათამაშოა, რომელიც-კი დედაკაცს ართობს: ყმაწვილი და საყვარელი,—მაგრამ არც ერთი-კი არ აკმაყოფილებს.

რასაკვირველია, ეხლანდელს დედაკაცს ბავშვი უყვარს, მაგრამ თავისებურად-კი, არა ისე, როგორც სიყმაწვილეში უყვარდა; თაყვანსა სცემს თავის საყვარელსაც, მაგრამ სრულის ბედნიერებით-კი მაინც ვერ დატკბარა. თავისი ბრალია მერე? არა, თითონ რა ჰქმნას, თუ-კი ასეთია ამ ქვეყნად გაჩენილი, ასეთია ცხოვრებისათვის დაბადებული, ამ სოფლად იგი მხოლოდ გონება-მახვილ დაქალისათვის არის მოვლენილი და არა ჭეშმარიტის სიყვარულისათვის. იგი ცოცხალი, ყველაფრის თანამგრძნობი არსებაა, მაგრამ ფუქსავატი-კი, ისეთი ადამიანი, რომელსაც არც ოჯახის ცხოვრება აკმაყოფილებს და არც სიყვარული. ბუნება თითქოს დაუსრულებლივ ხელსა ჰკრავს და ეუბნება: გიყვარდეს და ეძიე ბედნიერება შენის საყვარლის ხვევნაშიო, და ისიც უკანა სდევს ამ სიყვარულსა და ბედნიერებას. მაშ რაღადა სძულს გმირი რომანისას? ბედად ასე აწერია, უხსიათობა და იმიტომ!...

თუ მამაკაცმა თავისდა საუბედუროდ ერთი ამ გვარი დედაკაცი შეიყვარა და ამის გამო იტანჯება, ეს ტანჯვა ყოველთვის გულ-წრფელია. ამ ტანჯვის აღწერა შეადგენს დრამას მოპასანის ახალის ნაწარმოებისას. ამ რომანში აღწერილია ჭკვიანი, მეტად განათლებული კაცი, რომელსაც საშინლად შეუყვარდება ერთი ზემოდ აღნიშნულ ქალთაგანი. იგი კარგად ჰხედავს მიზეზს ამ უბედურ დედაკაცის ღობე-ყორეს მოდებისას, ჰგრძნობს, რომ ბევრი რამ ეპატიება, მაგრამ ამასთანავე თითონაც იტანჯება ყოველთვის. როცა კი ჰგონია, რომ ეხლა-კი მაგრად მიჭირავსო, დედაკაცი ხელიდგან უსხლტება; დარწმუნდება თუ არა, რომ ეხლა-კი დავიახლოვეო, დედაკაცი უფრო განზედ უხტება. აი ამ აურზაურობაში გადის იმის სიყვარულის დრო და ამაოდ სცდილობს გრძნობა განუღვივოს გულში და ჭეშმარიტის ვნებით აღაფრთოვანოს.

გმირი საუკუნოდ მოკლებულია მოსვენებას და ის გარემოება სტანჯავს, რომ ეს დედაკაცი ყოველთვის გვერდით უნდა მყავდეს, სცდილობდეს ჩემს შეყვარებას და ვერ შემიყვაროს-კიო. დასასრულ, იქანცება ამ უღონო ბრძოლაში და მაინც-კი ძალა და ღონე არ შესწევს, რომ თავი დაანებოს, გაშორდეს, რადგან ძალიან კარგად ჰგრძნობს, რომ ჩემი თავ-დანებება სულ ერთიან გაათახსირებს ამ დედაკაცს, გზასა და კვალს დაუბნევსო. ამასთან ის უფრო ვერაფერს აბედვინებს, რომ ამ ქალთან ყოფნის დროს იმის ჭკუა-გონებით, მშვენიერებითა და სიკეკლუცით ჰსიამოვნებს.

# უცხოეთი

გერმანია. მთელი ქვეყანაა ეხლა და თ. ბისმარკის გადადგომა სამსახურიდგან. ბევრს უხარიან და ბევრსაც სწყინს ეს ამბავი. სწყინთ იმათ, ვინც შეჩვეია იმისაგან დამყარებულს წესებსა, იმის პოლიტიკას „სისხლისა და რკინისას“; სწყინთ იმათ, ვისაც წინ-სვლა არაფრად ეპიტნავება, უფრო წარსულისკენ იხედება და არა მომავლისაკენ; სწყინთ, დასასრულ, იმათაც, ვინც მოხიბლა ბისმარკის გენიოსობამ, ვინც დაიმონა და ყურ-მოჭრილ ყმად გაიხადა მისმა ძლიერებამ, დიდმა გონებამ, გამუდმებულმა მხნეობამ, რომელიც სიბერესა და მოხუცებაშიაც-კი არ შეუსუსტდა. ხოლო უხარიანთ იმათ, ვინც წინააღმდეგია ძალ-მომრეობისა და მტარვალობისა პოლიტიკასა და ცხოვრებაში, ვინც ძველებურს წესებს არ ეწყობა, ყმობა და მონობა არ ეჭაშნიკება. უხარიანთ იმათ, ვინც წინ იცქირება და იმედებით აღსავსეა, ვინც ელის განკარგებას ცხოვრებაში, უკეთესს წესებს, მეტს ადამიანობას. დემოკრატების გაზეთი „Francfurter Zeitung“-ი პირდაპირ ამბობს, რომ ბისმარკის სამსახურიდგან გადადგომა დიდი ამბავია და მთელის კაცობრიობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვსო. „ბისმარკთან ერთადაო, ამბობს გაზეთი: დაეცა მისი წესი და რიგიცა და დაეცა იმედით ავსილ ჰაბუკიეთი ძლიერ ახალ დროების სიმძიმის ქვეშო. აქ ფანდი, კამათობა და ცილობა არაფერს შუაშია. ბისმარკი წავიდა, რადგან ჰგრძნობს, რომ მისი კალო უკვე გაილეწა, რომ მან თავისი დრო უკვე მოჭამა და აღარ შეუძლიან ახალ დროებას ანგარიში გაუწიოს, გაუძლეოს, უწინამძღვროს, უციცინათელოს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ უცბად იგრძნო ბისმარკმა ესა. არა, ნელ-ნელა დამწიფდა ეს აზრი ხალხში, ქვეყანაში, და მისი წყობილებაც დაეცა, რადგან საძირკველი მტკიცე აღარ გამოდგაო“.

იმპერატორი ვილჰელმი II დიდის პატივის ცემით ეკიდებოდა ბისმარკს პირველში, მაგრამ მერე თანდათან გაუგულ-გრილდა. ბისმარკმა იგრძნო ესა და რამდენჯერმე სთქვა კიდეც: „თავის დროზე იმპერატორივე იქნება თავის საკუთარი კანცლერიო“; „იმპერატორი პატივსა მცემს, მაგრამ მე მაინც არ შემიძლიან, როგორც მე მინდა, ისე გადავაწყვეტინო საქმეო“.

„Journal des Debats“-ი ამბობს: იმპერატორი სულ თავის პაპისა და ბისმარკის ქებაში იყო და საქმით-კი ახლა სხვა დაამტკიცაო. პაპა მისი ამბობდა: არას დროს არ მიეცემ ნებას ბისმარკს სამსახურს დაეთხოვოსო. შვილიშვილი-კი ასე არ მოიქცა. საქმე ის არის, თუ ბისმარკის გამოსვლა სამსახურიდგან რას მოიტანს ევროპიისათვისაო...

# წვრილი ამბები

იტალიაში ამ ახლო ხანს ერთს ახალგაზრდა კაცს ისე დასძინებია საღათას ძილით, რომ ყველა გაოცებულა. ეს უცბად ძილში ჩავარდნილი ყმაწვილი დღე-

---

ტლანქი და მოუხერხებელი გამოდიოდა, რომ ამათ გადატან-გადმოტანა ძალიან ძნელდებოდა. გარდა ყველა ამისა, ესეთი აკკუმულატორი სრულიად საჭირო არ იყო, მეტადრე იქ, სადაც ბუნება თვით იძლეოდა რაიმე ძალას. ამ ძალის პირდაპირ მოხმარება უფრო ადვილი და იეფიც იყო, ვიდრე მოტანილ, შენახულ ძალისა.

სულ სხვაა ის აკკუმულატორები, რომელსაც დღეს მეცნიერებამ მიაღწია. აქ ძალა ისე პირდაპირ-კი არ ინახება, როგორც ბუნება თუ ადამიანი იძლევა, არა, ახალ აკკუმულატორებში შენახულს ძალას სრულიად ეცვლება ფერი, სულ სხვა სახე ეძლევა. ძალა დროებით თითქოს სრულიად იკარგება, კვდება, და მხოლოდ შემდეგ, როდესაც საჭიროება მოითხოვს, ხელახლად იბადება, წინანდელს სახეს მიიღებს ხოლმე. ამ გვარ აკკუმულატორების მომზადება აი რაზეა დამყარებული.

**

ფიზიკიდგან ვიცით, რომ, როდესაც წყალი ორთქლად იქცევა, სითბოს იზიდავს, შეიწურავს ხოლმე, პირიქით, როდესაც ორთქლი ისევ წყლად გადიქცევა ხოლმე, სითბოს უშვებს. აგრეთვე, ყინული რომ დნება, სითბოს თავისთვის იზიდავს, და წყალი რომ იყინება-კი, სითბოს უშვებს.

ამ წყლის თვისებაზეა, სხვათა შორის, დამყარებული ის ღონეც, რომელსაც ხმარობენ ახლად აყვავებულ ხეხილის დასაფარავად, როდესაც შიში აქვთ ხოლმე, რომ ყინვამ არ დაჰკრასო. თუ შეატყეს, რომ ღამ-ღამეობით პატარ-პატარა ყინვებს იჭერს, და ხეხილმა-კი სრულიად გამოიწია,—აი რომ ყინვამ არ დაჰკრას და ხეხილი სრულიად არ წაახდინოს, ტოტებს ქვეშიდამ პატარა ღარებს უკეთებენ, ამ ღარებში ასხამენ წყალსა და როცა ეს წყალი გაიყინება, იმოდენა სითბოს უშვებს, რომ ხეხილს დაძრობის ფიქრი სრულებით აღარა აქვს.

აგრეთვე ქიმია გვასწავლის, რომ მცენარეს შეუძლიან წყლის შესუტვა, ჰაერის სუნთქვა და საზრდოთი გამოკვება მხოლოდ მაშინ, როდესაც მზე უნათებს და სითბოს აძლევს. ამიტომაც არის, რომ ბნელაში და სიცივეში მცენარე ვერა ხეირობს. ცხოველი, პირიქით, საჭმელს რომ სჭამს და ინელებს, სითბოსა და ძალასა ჰკარგავს.

სულ ასეა ბუნებაში:—როდესაც და სადაც-კი რაიმე ფიზიკური თუ ქიმიური ცვლილება მოხდება ხოლმე, ორში ერთი უნდა იყოს,—ან უნდა მიიზიდოს სითბო, ან გამოუშვას. და აი სწორედ ამ თვისებაზეა დამყარებული ახალ აკკუმულატორების მომზადება.

დღეს ყველაზე ძლიერ გავრცელებულია ელექტრონის აკკუმულატორები. ეს აკკუმულატორი ადვილი სახმარებელიც არის და მოსამზადებელიც. ჯერ-ჯერობით ყველაზე იაფი, მარტივი და უფრო გავრცელებული პლანტეს აკკუმულატორია. ეს აკკუმულატორი ასე მზადდება.

**

ორ ტყვიის ნაჭერს აგდებენ წყალში, რომელშიაც გაქნილია გოგირდის სიმჟავე. ორივე ნაჭერი ტყვიისა ცალ-ცალკე შეერთებულია მავთულით ელექტრონის მაშინასთან. ამ მაშინას რომ მუშაობა დავაწყებინოთ, ელექტრონული ძალა წყალში გაივლის, სადაც ტყვიის ნაჭრები აწყვია. ელექტრონის ძალა-კი, როგორც ცნობილია, წყალსა ჰშლის, ორად ანაწილებს,—ერთია წყალმბადი, მეორე მჟავმბადი. ელექტრონის მავთულებს, შეიძლება ისეთი მიმართულება მივცეთ, რომ ტყვიის ერთს ნაჭერს მხოლოდ წყალმბადი დაედება, მეორეს მჟავმბადი. მჟავმბადი ტყვიის ნაჭერს ჟანგივით მოეკიდება. გარედგან ჟანგივით ეკიდება ტყვიის ნაჭერს და შიგნიდგანაც დიდი ცვლილება მოსდის. როდესაც გარედგან ჟანგი სრულიად გადაეკვრება ნაჭერს, ელექტრონის მავთულს აშორებენ. ამ გვარად მომზადებული ტყვიის ნაჭერი სავსეა ელექტრონის ძალით, მხოლოდ ისე არაფრით ემჩნევა, ვიდრე საქმეში არ გამოსცდით. აი სწორედ ამისთანა ტყვიის ნაჭერს ჰქვიან ელექტრონის აკკუმულატორი.

წაიღეთ ეხლა სადაც გინდათ ეს აკკუმულატორი, ეს ტყვიის ნაჭრები, და სადაც გინდათ იხმარეთ. როცა ხმარება გინდოდეთ, მხოლოდ ორივე ნიჭერი უნდა შეაერთოთ ერთგვარ მავთულით; ტყვიის ნაჭრებში დამალული, შენახული ძალა მაშინვე თავს იჩენს, დაიწყებს მოძრაობას, და აი ელექტრონის ძალა მზადა გაქვთ, მოიხმარეთ როგორც და რაშიაც გინდათ.

ჩვენ აქ გაგაცანით მხოლოდ ტყვიის აკკუმულატორი, რომელსაც ამზადებს პლანტე. რასაკვირველია, მარტო ტყვიაზე არ არის საქმე ჩამოვარდნილი. აკკუმულატორის მოსამზადებლად რკინას, სპილენძს, თეთრს ოქროს (ПЛАТИНА) და სხვა მადნეულებსაც ხმარობენ. ჩვენ მხოლოდ ტყვიის აკკუმულატორი გაგაცანით, იმიტომ რომ ეს უფრო ადვილი მოსამზადებელია, თორემ სულ ერთია, რისაგანაც უნდა გაკეთდეს აკკუმულატორი, დედა აზრი მაინც ერთი და იგივეა.

რაში და როგორ ხმარობენ აკკუმულატორებს, ამას შემდეგ გიამბობთ. მაშინ გეტყვით იმასაც, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება აკკუმულატორს შემდეგში, როცა ძლიერ გავრცელდება, და რა დიდს ცვლილებას მოახდენს მთელ კაცობრიობის ცხოვრებაში.

დონ იაგო

ში ერთხელ გასცემს ხოლმე თვალებს, მაგრამ იმ წამსვე მიიძინებს და მერე ვერა ღონით ვეღარ გამოუღვიძებიათ. დამინებული საშინლად გამხდარა და ეხლა ცარიელი კანი და ძვალი-ღაა თურმე. უმანწვილი კაცი ძლივს სუნთქავს, მაჯა თითქმის აღარ უცემს და თუ ძალიან კარგად არ გასინჯა, მკვდარი ეგონება ადამიანსაო. უნივერსიტეტის პროფესორები დიდის გულ-მოდგინებით ადევნებენ თვალ-ყურს ამ ახირებულს სენს.

— ამას წინად ლონდონში წლიური კრება ჰქონია „უმაღლესის სწავლის ხალხში გამავრცელებელ ლონდონის საზოგადოებას“. კრებას თურმე დიდი ხალხი დასწრო. ჭერცოგმა არგაილმა წაიკითხა წერილი „ისტორიულის მეთოდის შესახებ ეკონომიურს მეცნიერებაში“. წერილის კითხვა რომ გაათავა, საზოგადოების პრეზიდენტმა გოშენმა რამდენისამე სიტყვით მიჰმართა ლონდონის სიტის სამრეწველო ამქრებს და სთხოვა, რომ ამ ახალს მოძრაობას ხელი შეუწყეთ და თქვენს მცირედს წვლილს ნუ დაიშურებთო. შემდეგ ამისა ციფირებით დაამტკიცა, რომ თანდათან მეტად უძლიერდება ხალხს უმაღლესის განათლების მიღების სურვილიო. ათის წლის წინად «ლონდონის საზოგადოებამ» მხოლოდ ოცდა-ცამეტი კურსი გაჰმართა, 1,300 მსმენელი ჰყავდა და სწავლის შესრულების მოწმობა ოთხმოც-და-თერთმეტს მიეცაო. შარშან, 1889 წელს (თუ ქალაქის მრავალ სხვა საზოგადოების მოქმედებას არ ვიანგარიშებთ), მარტო ამ საზოგადოებამ 107 კურსი გამართა, 1982 მსმენელი ჰყავდა და სწავლის შესრულების მოწმობა გამოცდის შემდეგ 1361 კაცმა მიიღოო.

— ბისმარკის დათხოვნის შესახებ პარიჟის გაზეთები ამბობენ, რომ ამას იქით ევროპის მშვიდობიანობის იმედი აღარ უნდა გვქონდესო.

— ვენაში მოქალაქეთა ამომრჩევლების კრებაზე კლერიკალმა ლიუგერმა სთქვა, რომ ბისმარკის დათხოვნა ურიების ბრალი უნდა იყოსო.

— ლივერპულში 150,000 მუშას შეუკრავს პირი და მუშაობაზე ხელი აუღია. ამის გამოვე უწესობაც მომხდარა და ექვსი აფიცერი და ორმოც-და-ათი კონსტებლი ქვით დაუშრიათ. ხუთასი ჯარის-კაცია გაგზავნილი წესიერების ჩამოსაგდებლად.

— საზღვარ-გარეთის გაზეთები ამბობენ, რომ ბოლგარიის მთავრობას გამოუცხადებია რუსეთისათვის: თუ ვალის მიღება გსურს, მიიღე, მხოლოდ ხელ-წერილი-კი მოგვეცი, რომ ვალი ბოლგარიის კანონიერმა მთავრობამ გადაგიხადაო. რუსეთმა უარი განაცხადა და ამ პირობით ვალის მიღება არ ისურვაო. ამის შესახებ „Гражданинъ“-ი ამბობს, რომ სტამბულოვმა ეს ხრიკი იმიტომ იხმარა, რომ იცოდა, რუსეთი ამ პირობით ვალის აღებას არ დაგვეთანხმება და ვალის გადუხდელობის მიზეზი გვექნებაო.

# დეპეშა

15 მარტი

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭო ერობათა ცვლილების პროექტის განხილვას მხოლოდ სესიის დამლევს შეუდგებაო.

ხმა დადის, რომ იმ ახალ დეპარტამენტთა დირექტორებად, რომელიც იუსტიციის სამინისტროში უნდა შესდგეს, დანიშნული იქნება გოფმეისტერი კაზემ-ბეგი და პროკურორი მოსკოვის სამოსამართლო პალატისა მურავიოვი.

ხარკოვი. ხარკოვის გუბერნიაში შემოდგომის ნათესს კარგი პირი უჩანს.

ათინა. ოსმალეთმა გადასწყვიტა, რომ ყველა საპატიმროში დამამწყდევი განაჩენი გაუქმდეს და მხოლოდ ფულად ჯარიმის გადამხდელი განაჩენი დამტკიცებულ იქმნასო.

დედოფალი ხვალ პეტერბურგში მიბრძანდება.

ვენა. ყუკვამლო თოფის-წამლის შემოსაღებად სამხედრო მინისტრმა ერთი მილიონი უნდა მოითხოვოს.

ბელგრადი. სერბიის პეტერბურგელი ელჩი სიმიჩი გადაყვანილი იქნება და იმის ადგილას დაინიშნება ვენელი პეტრანიევიჩი.

სკუპშჩინაში კანონ-პროექტია შეტანილი, რომ ბაქს ნუ გადავახდევინებთ თ. გაგარინის ნავთის ხომალდებს, როცა გზად მიდიან სერბიაზეო.

16 მარტი

პეტერბურგი. ვაჭრობის დეპარტამენტი აცხადებს, რომ 15/27 იანვარს 1891 წ. კინგსტონს იამაიკის კუნძულზე გაიმართება საერთაშორისო მრეწველობა მხატვრობისა და მეურნეობა-ხვნა-მთესველობის გამოფენა. გამოფენა სამს თთვეს გასტანს. ვისაც უნდა მონაწილეობა მიიღოს, გამოფენის სეკრეტარს უნდა აცნობოს 19 აპრილამდე 1890 წ. ადგილი გამოსაფენად უსასყიდლოდ დაეთმობათ. დაწვრილებით გარემოების შეტყობა დეპარტამენტისაგან შეიძლება.

„Нов. Вр.“-ია იუწყება, რომ ნება დართულ იქმნა და ფულიც გადაიდო რათა საჭირო ცნობანი შეგროვდეს და გამოძიებულ იქმნას რკინის გზის გაყვანის საქმე კავკასიის მთებზე.

სურამის გვირაბის კურთხევა დანიშნულია 30 აგვისტოსათვის.

ასტრახანი. ზღვაში ხომალდებმა დაიწყეს სიარული.

მადრიდი. გენერალმა და სენატორმა დაბანმა კერძო ლაპარაკის დროს ავად მოიხსენია სამოქალაქო გამგეობის წესები და სთქვა, რომ ჩემს მხარეზეა ჯარები და რამდენიმე გენერალიო. დაბანი დაპატიმრებულია. სენატი წინაალმდეგობს.

ბარცელონა. 14,000 მუშა კაცი გაიფიცა და ყველამ ხელი აიღო მუშაობაზე.

ათინა. დღეს საღამოს 6 საათზე დედოფალი პეტერბურგს გაემართა ოდესისაკენ. დედოფალს თან ახლავს რუსეთის გემი.

სოფია. დაპატიმრებულია ერთი კაპიტანი და ერთი პორუჩიკი, პანიცას საქმეში გარეულნი. პრინცი ფერდინანდი საგანგებო მატარებლით მოვიდა ფილიპოპოლიდამ და ისევ მალე უკანვე დაბრუნდება.

პეტერბურგის ბირჟა, 13 მარტი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 35 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 147¼ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 235 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 220 |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | 217¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 98¾ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 98½ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 87½ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

მარტი 31 დღით არის

17 დღე შაბათი. ქართველ. ღირსისა მამისა ალექსი ღვთის კაცისა. კათოლ. წმ. პატრიცი, იულინა და გილიარისა. სომეხ. 34 დღე დიდ-მარხვისა წმ. მამ. გრიგოლ. განმანათლებლისა. მზე ამოდის 5—48, ჩადის 6—23. ჭეშმარიტი შუადღე 12—5—მთვარე 9 დღისაა.

18 დღე კვირა. ქართველ. წმ. კირილე, იერუსალიმელ პატრიარქისა. კათოლ წმ. გერტრუდასი, პატრიკისა და ბოლესლავასი. სომეხ. 35 დღე დიდ-არხვისა. წმ. სებასტიას ორმეოცთა წამებულთა. მზე ამოდის 5—47, ჩადის 6—48. ჭეშმარიტი შუადღე 12—4. მთვარე 10 დღისაა.

19 დღე ორშაბათი. ქართვ. წმ. ხვრისანთე და დარიასი. კათოლ. წმ. იოსებისა, აბრამისა და იაკობისა. სომეხ. 36 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—52. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. მთვარე 11 დღისაა.

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ბორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

**დედა ენა და ბუნების კარი**

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ადრიდთეის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყიდის „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ივერია**

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

**კოკორი**

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ, 16-го Мартъ 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი. ილია ჭავჭავაძე